პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 29 (18271) პარასკევი, 5 თებერვალი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲗᲘᲗᲔᲚ რესპუბლიკაში კარგად იცნობენ თელავის რაიონის სანაორის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ მიღწევებს, რომელიც კარგა ხანია მონინავეთა რიგებშია. სანაორელთა წარმატებებში დიდი დამსახურება მიუძღვით კოლმეურნეობის სპეციალისტებს, უპირველესად კი მთავარ აგრონომს ვ. გოგინაშვილს. ისინი თანამიმდევრულად ახორციელებენ მინდვრებისა და ვენახების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ფუძემდებელ ღონისძიებებს, მოქმედებენ მეცნიერების მიღწევებისა და მონინავეთა გამოცდილების დანერგვის პირადი სამუშაო გეგმებით. კოლმეურნეობის კომუნისტები, გამგეობა, ყველა მშრომელი ენდობიან სპეციალისტების ცოდნასა და გამოცდილებას და სრულიად უჭერენ მათ მხარს. ამ გამრჯე სპეციალისტებს აღფრთოვანებული აქვთ ახალი, მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანისა და წარმოებაში დანერგვის კურსი, განსაზღვრული აქვთ თითოეული მინდვრისა თუ ზვრისათვის სასუქების შეტანის ვადები და ნორმები, თესვისა თუ ნარგაევების მოვლა-დამუშავების ოპტიმალური ვადები. ამის მეოხებით კოლმეურნეობაში მეათე ხუთწლედში ყურძნის მოსავლიანობა ჰექტარზე 32 ცენტნერით გაიზარდა, ნესამწნეულად გადიდდა აგრეთვე მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების პირად შემოქმედებითს გეგმას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როცა სასოფლო რაიონებში შეიქმნა ახალი რგოლი — სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანება და მისი საბჭო. საზოგადოებრივ მეურნეობათა სპეციალისტების საპატიო ვალია გაერთიანების საერთო გეგმებსა და მისი საბჭოს მიზანდასახულობებს ოსტატურად შეუხამონ თანამონი პირადი გეგმები, შეუნელებლად, ენერგიის, ცოდნისა და გამოცდილების დაუზოგავად იბრძოლონ მათი შესრულებისათვის. გაერთიანებათა საბჭოების ამოცანა ის არის, რომ ერთიანი მიზნისათვის, საბოლოო ოპტიმალური შედეგისათვის ბრძოლაში გაერთიანონ აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ყველა საწარმო-ორგანიზაციისა და მათი სპეციალისტების მეცადინეობა.

რესპუბლიკის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობენ უმაღლესი განათლების სპეციალისტები, ზოგს კი საშუალო სპეციალური განათლება აქვს, სპეციალისტი სოფლად დიდი ძალაა. ბევრი მათგანი ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებს, განყოფილებებს, ფერმებსა და ბრიგადებს. ისინი, პარტიული ორგანიზაციის მხარდაჭერით, უნარიანად წარმართავენ კოლექტივის მეცადინეობას სკკპ XXVI ყრილობის მიერ მონიშნული სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების კომპლექსური პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენში ბევრმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებენ მოსავლიანობის გადიდების საკითხებს მიწათა ქმიზაციისა და მეწარმეობის აგროტექნიკურ საამუშაოთა ფილი კომპლექსის გადაწყვეტას, ამ ბოლო ხანს მნიშვნელოვან ნაბიჯებს მიაღწია პროდუქტების წარმოებაში. მაგრამ გულახდილად და პრინციპულად უნდა ითქვას, და შარშანდელი მეცდენეობა ანალიზიც მოწმობს, რომ რეზერვები აქ ჯერ კიდევ ძალიან დიდია. ერთ-ერთი მთავარია მოსავლიანობის სიჩქარული ლიკვიდაცია. ამიერად გვხვდება ისეთი ფაქტები, როცა საზოგადოებრივი მეურნეობები, რომლებსაც თითქმის ერთნაირი ნიადაგურ-კლიმატური პირობები აქვთ, სხვადასხვანაირად მუშაობენ. ავილოთ, მაგალითად, ახმეტის რაიონის ქისტაური საბჭოთა მეურნეობა (მთავარი აგრონომი — ბ. ავიაზაშვილი). შარშან აქ საშუალოდ ჰექტარზე ნაკლები ყურძენი და მარცვლეული მოინიეს, ვიდრე მათგან ერთიოდ ისე დაშორებულ ოფოის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ოფოის საბჭოთა მეურნეობა, სადაც მთავარ აგრონომად მიხეილ მეჭურჭლიშვილი მუშაობს, კარგა ხანს ჩამორჩენილი იყო. მთავარი აგრონომის და თვით მეურნეობის დირექტორის, სპეციალისტების გულმოდგინე მეცადინეობით ძალიან მალე იგი მონინავეთა რიგებში ჩადგა. აქ თანამიმდევრულად ახორციელებენ ოთხეულგვარ ეფექტიან ღონისძიებებს და წარმატებებს აღნიშნავენ. ოღონ ქისტაურელები ჩამორჩნენ. მეურნეობაში არ იცავენ აგროტექნიკურ წესებს, ცუდად არის მოგვარებული ჯიშების შერჩევა. იგივე ითქმის ნაკლებ რაიონის მეკარტოფილეობის მეურნეობებზე, სადაც მოსავლიანობა სხვადასხვა მეურნეობაში მკვეთრად განსხვავდება.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, ახლად შექმნილმა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებათა საბჭოებმა მკაცრად უნდა მოაკითხონ იმ სპეციალისტებს, რომლებიც ურიგდებიან ინსტრუქციებს, აგიჟიანებენ მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებს, ბრიგადებს, კუდში მისჩაჩნალებენ ცხოვრების და არ იწყებენ ინიციატივას. ამავე დროს მხარი უნდა დავუჭიროთ, ნაკლებად ოთ და განვავითაროთ ურთიერთდახმარება, რომელიც ბევრ ადგილას ეხმარება ერთ საბჭოთა მეურნეობაში ჩაღდება ალკალეული ბოდგირის, სოციალისტური შრომის გმირის ნაზო პეტრიაშვილის თაოსნობა. დღვანდელ: „მეზობლის ფერმა და მინდორი სხვისი ეგონა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯერებაში ჩაბმული მეურნეობების ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა პროდუქტების წარმოების გადიდებასთან ერთად ვალდებულება უნდა იკისრონ დაეხმარონ მეზობელს ჩამორჩენილად ყოფის დაღწევაში.

ითითოეული აგრონომი მოვალეა იყოს მიწათმოქმედების მაღალი ეფექტიანობისათვის ბრძოლის ორგანიზატორი. ახლა, როცა ოლის მშრომელები აქტიურად ემზადებიან საგაზაფხულო სამუშაოთა აგროვადებში დანყებისა და მაღალი მაჩვენებლების ოდენვეგისათვის, უნდა ვიზრუნოთ სწორი თესლბრუნვის შემდგომი ოლიფცელებისათვის, სრულყოთ ნათესი ფართობების სტრუქტურა, ოგმოვიყენოთ დამატებითი რეზერვები მარცვლეულისა (განსაკუთრებით სიმინდის) და სხვა კულტურების მოლიანი მოსავლიანობის ზრდისათვის.

დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ჩვენი სახელოვანი მეცნიერ, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას ბოლოდროინდელ პატრიოტულ თაოსნობას — „აღვუდგინოთ ქართველს ის ძველი დიდებას!“ ეი აქ გამოჩნდება, როგორ იღვნიან მეწარმეები საზოგადოებრივ მეურნეობათა აგრონომები, ინჟინრები, ბრიგადირები, ბრძოლაში ჩაბმულ ადამიანებად ბრძოლოდ ბრძოლოდ ბრძოლოდ

გაერთიანებულთა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის კლენუმის გადაწყვეტილებანი!

„სოციალისტური მშენებლობის წლებში მოძალებულ ფეიქრული ფაბრიკების ორგანიზაციის, მართვის, სახალხო-სამეურნეო კრიზისთან ბრძოლის ღონისძიებათა გადაწყვეტის მრავალფეროვანი დადებითი გამოცდილება.

...მოდით, ამხანაგებო, უფრო უუნაგლესად შევიწყალოთ და უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მოძმე ქვეყნების გამოცდილება“.

ლ. ი. ბრეჟნევი

1. ბრიგადული იჯარის არსი

ბერგანინის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროფრტის ფეხსაცმლის ფაბრიკაზე ამ ათიოდე წლის წინათ ალაპარკადნენ, როცა მისი პროდუქცია საგრძნობლად გაუმჯობესდა. ცხადია, აქ მანამდეც კერავდნენ ფეხსაცმელს, მაგრამ აქაური პროდუქცია არაფრით არ გამოირჩეოდა. ხალხი ყიდულობდა, თუმცა, არცთუ ხალისით. დღეს ეროფრტის ფაბრიკის მთელი პროდუქციის ნახევარს „○“ ნიშანი აქვს, რაც „კვოლიტეტს“ ნიშნავს, ე. ი. ჩვენი ხუთკუთხედის ანალოგიური ნიშანია. ფაბრიკის მოღრეკილ, ლაზათიანი და გამძლე ფეხსაცმელი, ქალისა თუ კაცისა, დიდხანს არ ელის მუშტარს დახლთან, რაც საწარმოს მუშაობის ყველაზე დამაჯერებელი შეფასებაა. კოლექტივმა რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოები — „შრომის დროშის“ ორდენი და „სამშობლოს წინაშე „ამსახურებისათვის“ ოქროს ორდენი დაიმსახურა, შარშანწინ კი კოლექტივის სოციალისტური შრომის საწარმოს წოდება მიენიჭა.

ხარისხი შედგენილობის მქონე, კომპლექსური ცნებაა. მასზე გაჯელნას ახდენს მონყობილობის მდგომარეობაც, მასალების მახასიათებლებიც, ტექნოლოგიის დონეც და წარმოების რიგიანი გაძღოლაც. ყველაფერი ასეა. მაგრამ ყველა ამ ფაქტორის სათავეში კონკრეტული შემსრულებელნი დგანან. მაშასადამე, საბოლოო ანგარიშით „უპირველესი მნიშვნელოვნა აქვს ადამიანთა კეთილსინდისიერებას, მათი მუშაობის ხარისხს. ეს ვითარება მთლიანად გამოვლინდა იმ მრავალფეროვან მუშაობაში, რომელიც ეროფრტულმა მეფეხსაცმელეებმა გასწიეს ხარისხისათვის ძნელ ლაშქრობაში.

ისინი იძულებული იყვნენ გამოეცალათ ფაზები, გაეუმჯობესებინათ ტექნოლოგია, განეხორციელებინათ რეკონსტრუქცია (ფაბრიკა, არც მეტი, არც ნაკლები, ასი წლისაა), დაეხვეწათ მართვა, ებრძოლათ მიმწოდებლებთან ნედლეულის საჭირო კონდიციისათვის. მაგრამ ყოველივე ეს ეფუძნებოდა მუშაობის ხარისხისადმი ადამიანების ახლებურ დამოკიდებულებას. სწორედ ამ პერიოდში მეფეხსაცმელეთა შეჯიბრებამ ზუსტად მოხაზული ორგანიზაციული ფორმები შეიძინა. მაგრამ, სანამ ამ თემაზე განვაგრძობდეთ საუბარს, მცირეოდენი ექსკურსი მოვახდინოთ დარგში, რომელიც ფრიად შორს დგას წარმოებისაგან, ვიხაუბროთ... ფეხბურთზე.

ვერ გეტყვით, რომ დიდად გატაცებული ვიყო ამ სპორტით, „უფრო სწორედ, გულგრილიც კი ვარ: სტადიონზე არ დავდივარ და ტელევიზორშიც იშვიათად თუ ვნახავ მატჩს თავიდ ბოლომდე. მაგრამ ჩემმაორატის მსალლობას მეტნაკლებად ვადევნებ თვალს, ღვთის მადლით, გაზეთები ყოველი ტურის შემდეგ აქვეყნებენ ანგარიშებსა და ცხრილებს. განსაკუთრებით საინტერესოა მათი შესანავლა პირველობის დამთავრების შემდეგ, როცა გამოვლინდებიან ჩემმაორნიც და აუტსაიდერებიც, უმალესულ ლიგას რომ ტოვებენ. მაშინ იოლია თითოეული გუნდის ახალი შედეგების შეჯერება შარშანდელთან — ზემოთ თუ ქვემოთ თუნდაც ერთი საფეხურით გადანაცვლება ხომ მიუკერძოებლად აისახება „რანგების ცხრილში“.

საჯაროობა და შესაფასებლობა ყოველგვარი შეჯიბრების სული და გული, იქნება ეს სპორტში თუ წარმოებაში. და ვერც კი წარმოვიდგენია, რა მოხდებოდა ფეხბურთში, გულშემატკივარნი მხოლოდ გამარჯვებულის შესახებ რომ იცოდნენ? ინფორმაციას და ანალიზებ კი ან იყვნენ იმის თაობაზე, თუ რა ხდება ცხრილის შუაში თუ ბოლოში. სამწუხაროდ, ის, რაც სპორტში წარმოუდგენლად ითვლება, წარმოებაში მიმდინარე შეჯიბრებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მეტწილად შრომითი შეჯიბრება ეხება და აღელვებს მისი მონაწილეების შედარებით უმნიშვნელო ნაწილს — ძირითადად მოწინავეებს, რომლებიც, ჩვეულებრივ უცვლელ გამარჯვებულებად გვევლინებიან. დავუბრუნდეთ ფეხბურთის მაგალითს: იქაც ხდება ხოლმე, რომ ესა თუ ის გუნდი რამდენიმე წელს ინარჩენებს ჩემპიონის ტიტულს, იქაც არის ლიდერთა ჯგუფი, რომლებთან მეტოქეობაც უჭირთ აუტსაიდერებს. მაგრამ ფეხბურთის პირველობის გათამაშებაში ყოველი გუნდის შედეგები წინ გვილაგია, და თუ რომელიმე „დინამომ“ თასი ვერ მოიპოვა, მაგრამ მეშვიდედან მეექვსე ადგილზე გადინაცვლა, ეს უკვე წარმატებად ითვლება და შეუმჩნეველი არ რჩება: ამის ამჩნეველ გულშემატკივრებიც, კომენტატორებიც და, ვფიქრობთ, თვით „მეცენატებიც“. მაგრამ, აბა, სცადეთ შეიტყოთ, თუ როგორ გაიუმჯობესა (ან გაიუარესა) ამა თუ იმ ბრიგადამ ქარხანაში თავისი პოზიციები, და ამის თაობაზე ვერავინ ვერაფერს ვერ გეტყვით, რადგან ამის აღრიცხვაც კი არ წარმოებს. ამიტომ სავსებით გასაგებია შრომითი მეტოქეობის მონაწილეთა ძირითადი მასის უკმაყოფილება, რომელთა მიღწევებიც შეუმჩნეველი რჩება. აი სოციალისტური შეჯიბრების ცუდი ორგანიზაციის ერთ-ერთი პარადოქსი: რაც უფრო ბევრ ხალხს მოიცავს იგი, არსებითად, მით უფრო ნაკლებია ნამდვილ მონაწილეთა რიცხვი. რამეთუ შეჯიბრებაში მონაწილეობს არა ის, ვინც აღრიცხულია ანგარიშებში, არამედ ის, ვინც იცის თავისი შედეგები სხვათა შედეგებთან შედარებით. და არა მარტო იცის.

არის საწარმოები, სადაც აქვთ ფეხბურთის მსგავსი „რანგების ცხრილი“, მაგრამ იქაც კი ისინი ბევრს არაფერს აძლევენ (სტიმულირების თვალსაზრისით) საშუალოებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, ყველაზე მეტნი არიან. გამარჯვებულებს პრემიებსა და სხვა ჯილდოებს აძლევენ, ჩამორჩენილებს ტუქსავენ, დანარჩენებს კი საერთოდ ვერც კი ამჩნევენ.

მაგრამ სოციალისტურ შეჯიბრებაში, შრომითი კოლექტივების შეჯიბრებაში ხომ გამარჯვებულის გამოვლენა სრულიადაც არ არის უმთავრესი ამოცანა. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, საამქროს ინტერესების თვალსაზრისით, გავაანალიზოთ, რატომ ჩამორჩენენ ესა და ეს უბნები, დაეხმაროთ დანინაურებაში. შრომითი მეტოქეობის სწორედ ამ მხარეს დაუთმო განსაკუთრებული ყურადღება ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, როცა აღნიშნა, რომ შეჯიბრება „მოითხოვს არა მარტო მოწინავეთა აქტიურ მხარდაჭერას და წახალისებას, არამედ იმათ გამოვლენასაც, ვინც ჩამორჩა ან „საკმაოდ ან კეთილსინდისიერად არ ირჯება. და ეს საქვეყნოდ, საჯაროდ უნდა ხდებოდეს, რათა ხალხი იცნობდეს არა მარტო იმათ, ვინც თავდადებით შრომობს, არამედ იმათაც, ვინც გულგრილად, უსულგულოდ მუშაობს“.

როგორ მივაღწიოთ იმას, რომ შეჯიბრების პროცესი თვითმარეგულირებელი სისტემა გახდეს, რა ვიღონოთ, რომ მისი თითოეული მონაწილე ცდილობდეს ოდნავ მაინც აიწიოს ზემოთ და მხოლოდ ზემოთ? და რომ ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო წარმატება, თუნდაც პატარა წინგადადგმული ნაბიჯი შემჩნეული და სათანადოდ აღნიშნული იყოს? შეჯიბრების ორგანიზატორთა ეს სანუკვარი ოცნება, ჩემი აზრით, თითქმის ანდა ერეფურტის ფეხსაცმლის ფაბრიკაში.

— ჩვენ თანდათან უარვყავით მრავალრიცხოვანი მაჩვენებლები და დავტოვეთ მხოლოდ სამი: ხარისხი, რაოდენობა და შრომის ნაყოფიერება, — გვითხრა პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარემ ვოლფგანგ ნოიმიულერმა. — ეს ხალხს უადვილებს გაერკვეს საქმის ვითარებაში. ყველა, 52-ვე ბრიგადა დაყოფილია ხუთ ჯგუფად ოპერაციათა ხასიათის მიხედვით. ეს შედარებასაც გვიადვილებს და შეფასებაც უფრო სამართლიანი გამოდის. ბრიგადები 30-40 კაცია. ისინი, როგორც თქვენში იტყვიან, „საერთო გობისათვის“ მუშაობენ. როცა კოლექტივი დაინტერესებულია საბოლოო შედეგით, ეს მის თითოეულ ნევრს აიძულებს წინ ნაწინოს თავისი საქმე. აქ საჭიროა მხარდამხარ სიარული...

ხარისხის, რაოდენობისა და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები ცვალებადი სკალით კოეფიციენტებში გადაჰყავთ. ვთქვათ, ბრიგადამ ხარისხის გეგმა 100 პროცენტით შეასრულა, ეს 0,5-ად ფასდება, თუ გეგმა 101,3 პროცენტით შესრულდა, კოეფიციენტი უკვე 0,51-ს უდრის, და შემდეგ ყოველი 1;3 პროცენტით გადაჭარბება კოეფიციენტს ერთი მეასედით ზრდის. ამ მეასედს თანდათანობით უკვე ნაკლები გადაჭარბება იძლევა, და ეს გასაგებიც არის: ხომ ვიცით, რომ რაც უფრო მეტია გადაჭარბება, მით უფრო ძნელი მოსაპოვებელია იგი. ამიტომ, მაგალითად, თუ 0,96 კოეფიციენტი გეგმის 132,2 პროცენტს შეესაბამება, 0,97 კოეფიციენტს უკვე 132,5 პროცენტი იძლევა. ერთ ერთეულს გეგმის 133,33 პროცენტით შესრულება იძლევა — ეს უკვე ზღვარია. თუ მეტის გაკეთება შეიძლება, მაშინ ან ნორმა არ ვარგებულა და, მაშასადამე, უნდა გადაისინჯოს, ან რაოდენობის ზრდა ხარისხის საზიანოდ ხდება.

გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში კოეფიციენტი ასეთივე წესით მცირდება; თუ 98,8 პროცენტისათვის 0,49 დაირიცხება, 75,2 პროცენტი უკვე 0,01-ს იძლევა, ხოლო 75 პროცენტი — ნულს. სამივე — ხარისხის, რაოდენობისა და შრომის ნაყოფიერების კოეფიციენტი შეჯამდება და მიღებული ჯამი სამად გაიყოფა. ასე გამოჰყავთ საერთო კოეფიციენტი. რომელ ბრიგადასაც უფრო მაღალი კოეფიციენტი ექნება, შესაბამის მაღალ ადგილს მიიღებს. აი, ნინ მიდგეს სექტემბრის შეჯიბრების ცხრილი: გამარჯვებულს—გამომჭრელთა ბრიგადას, რომელსაც ინგე ოილენბერგი ხელმძღვანელობს, საბოლოო კოეფიციენტი აქვს 0,80 (0,67+1,00+0,72). ამ ჯგუფში, რომელიც 11 ბრიგადაა, აუტსაიდერის კოეფიციენტი უდრის 0,29-ს (0,03+0,53+0,35). გამარჯვებულმა ბრიგადამ 250 მარკა პრემია მიიღო.

ბრიგადულ პრემიას მხოლოდ იმათ აძლევენ, ვინც პირველი ადგილი დაიკავა. სხვა ბრიგადებსაც ახალისებენ, მაგრამ სხვაგვარად. ყველას (მათ შორის გამარჯვებულებსაც) ეძლევა პრემია „მიღწევებისათვის“. მისი ოდენობა უშუალოდ კოეფიციენტზეა დამოკიდებული. მაგალითად, ინგე ოილენბერგის ბრიგადამ 616 მარკა მიიღო 44 მუშიდან თითოეულზე 14 მარკის ანგარიშით. კოეფიციენტი მეტი რომ ყოფილიყო, პრემიაც მეტი იქნებოდა. ასე რომ, ყოველი კოლექტივი დაინტერესებულია არა მარტო პირველი ადგილით, არამედ უმაღლესი კოეფიციენტითაც. მაგალითად, შარლოტა ლანდფსფელდის ბრიგადას, რომელმაც თურმე აგვისტოში პირველი ინსტრუმენტის გარეშე შეჯიბრება აუარზაურად და ლაყბობად გადაიქცეოს ხოლმე. ბაგრამ იქ, სადაც ეს ინსტრუმენტი მეენიერულად არის დასაბუთებული, შემოწმებული და პრაქტიკულად გამოცდილია, იგი შეუფერხებლად მოქმედებს, საკუთარი მუშაობის გაუმჯობესებით თითოეული მშრომელის ცხოველ დაინტერესებას წარმოშობს. ამას მკაფიოდ ადასტურებს ერფურტელი მეფეხსაცმელეების მაგალითი.

ამრიგად, თვის შედეგებისა და დაკავებული ადგილის მიხედვით ბრიგადა პრემიას იღებს. შემდეგ, ცხადია, ეს ფული უნდა გაიყოს. „მიღწევებისთვის“ პრემია, მართალია, ყოველ მომუშავეზე გარკვეული რაოდენობის მარკის ანგარიშით ჩაერიცხება, მაგრამ თანაბრად როდი ნაწილდება. როგორც უკვე მოგახსენეთ, ბრიგადები ერთიან განაწესზე მუშაობენ. ყველას წვლილი თანაბარი არ არის, ამიტომ ანაზღაურებაც შრომით მონაწილეობის მიხედვით ხდება. ვის რამდენი, — ამას ბრიგადირი წყვეტს. ცხადია, მაშინვე დამებადა კითხვა, ასეთი ერთპიროვნული გამგებლობა ძალაუფლების ბოროტაგდ გამოყენებას ხომ არ ინვევს? ხომ არ გადაადგეს ეს ბრიგადირს ვიღაც აბამანად, რომელიც ფლობს სამუშაოებისა და ინსტრუმენტების ბაზარზე ბრიგადირ ბერტ ოილენბერგ ინგეს ... ...

ლენინური გზა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

ვერხვიდან-შრომითს ცხოვრებაში

კავშირში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სახალხო განათლების და კულტურის კომისიათა გაერთიანებული სხდომა, განიხილეს ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების მოსწავლეთა ფიზიკურ-ტექნიკური ერთობლივი სწავლების შემდგომი ორიენტაციის, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ საბჭოთა კავშირის მინისტრთა დადგენილების მოთხოვნათა დაცვის საკითხი.

სხდომას ხელმძღვანელობდნენ კომისიების თავმჯდომარეები ა. ვ. ტოლსტიხი და პ. ნ. ფედოსეევი.

მოისმინეს დეპუტატთა ერთობლივი მოსაზრებები კომისიის თავმჯდომარეების ვ. ბ. ბოიკოსა და სსრ კავშირის განათლების მინისტრის მ. ა. პროკოფიევის მოხსენებები.

მოხსენებებში და გამოსვლებში ითქვა, რომ სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებსა, სკოლებსა, პედაგოგიურ ინსტიტუტებში საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან ერთად, რომლებიც ეხებიან ... XXVI კონგრესის გადაწყვეტილებებთ, ... ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ... ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის შესახებ, დიდ-ად ... მუშაობას ეწევიან ... ბა მოქმედი კანონმდებ-ლობის დასაცავად.

ბოლო წლებში დადგინდა მოსწავლეთა შრომითი მომზადების ... ფორმები და მეთოდები. შემოღებულია ახალი სასწავლო გეგმები ... პროგრამები, მაღლდება შრომის მასწავლებელთა კვალიფიკაცია, ... ვითარდება შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფორიენტაციის სასწავლო მატერიალური ბაზა. ფართოვდება სკოლების თანამშრომლობა წარმოებასთან და პროფტექგანათლების სასწავლო დაწესებულებებთან.

ამასთან აღინიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოები ყოველთვის როდი უწევენ მკაცრ კონტროლს კანონმდებლობის დაცვას. მოსწავლეთა შრომისათვის მომზადების ხარისხი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ჯერ კიდევ საკმარისი არ არის მისი ეფექტიანობა და საბოლოო შედეგები. ჯეროვნად არ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს მოსწავლეთა შრომითის აღზრდასთან დაკავშირებული ამოცანების კომპლექსური რეალიზაციისათვის. ბევრი სამინისტრო და უწყება, საწარმო და ორგანიზაცია საკმარო ყურადღებას არ უთმობენ მოსწავლეთა შრომითი მომზადების საკითხებს, მთლიანად არ ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს მისი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კ. ა. ხალილოვი, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები ა. პ. შიტიკოვი და ვ. ბ. რუბენი, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. (საკდესი).

ეროვნული კომენტარით

სკოლა-სოფლის სიცოცხლე

ერთი უსაფფველო საქმის საფფველად

ასპინძის რაიონის სოფელ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველებათა სახლი

ნაციონალური გამოდგა 1981 წელი საქართველოს ს. ჯანშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმისათვის. მისი ფონდები შეივსო და გამდიდრდა მდიდარი ნივთიერი მასალით. მდ. ენგურ სამუნებისმეტყველო, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ათეისტური ექსპედიციები.

გეოლოგებმა სამეგრელოსა და აფხაზეთში საველე სამუშაოების დროს დიდძალი ნიმუშები დაგროვეს ზედაკარეულ-ოლიგოცენის ნალექებიდან; ბოტანიკოსებმა შეაგროვეს ენნშვნელოვანი ფლორისტული მასალა—2.700-ზე მეტი საეჭვბარიუმო ნიმუში; ზოოფეოდალურმა განყოფილებამ ყვარელის აუზის, ქვემო ქართლის (სოფელი სიონი), კახეთის (სოფელი მარტყოფი), ქარელის რაიონის ბერიკლდეების, შიდა ქართლის (დედოფლის მინდორი) და ნოსირ-მუხურრის მიდამოებში ექვსი არქეოლოგიური ექსპედიცია. მოაწყო; შეა საუკუნეების განყოფილებამ სამი: ნოქალაქევში, არეშსა და არაფლო-კაზრეთში; სპეციალიტური ლაბორატორია აგრძელებდა ვანის ქვაბის არქეოლოგიურ ბეთრებს; მიმდინარეობდა დაზვერვები გარეჯის უდაბნოსა და ქცია-ხრამის კლდის ძეგლებზე.

რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის განყოფილებამ სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია მოაწყო დუშეთსა და ახმეტის რაიონებში (ფშავი და ფშაველებთან დასახლებული კახეთის რაიონები). კინოფოტო აღიბეჭდა შემორჩენილი ქართული ხალხური დღეობები და საკულტო დანშულების ძეგლები (ეგოგოლაური, უკანა ფშავი, შუაფხო, გომეწრის ხეობა).

ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ ბორჯომის, ქარელისა და ზაზრის რაიონებში მოიპოვა ზეპირსიტყვიერი მასალა, რომელიც ასახავს ამ რეგიონის ეთნიკურ სურათს, განსახლების თავისებურებებს, სოფლის სტრუქტურას და ვეკრთა შორის ურთიერთობას, რწმენა-წარმოდგენებს, ჩაცმულობას, მეშინდვრეობას, საოჯახო რეწვას და სხვ.

სვანეთის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ ქვემო სვანეთის ეკლესიებში აღრიცხა მრავალი ეთნოგრაფიული ნივთი. მათ შორის საყურადღებოა მე-11 საუკუნის ოქრომჭედლური ხატები. ზემო სვანეთში (ალილი, ლატალლის, ლენტეხის, ცხუმარისა და იფარის ეკლესიები) გამოვლენდა და აღრიცხა შვიდასამდე ნივთი, რომელთა ძირითადი ნაწილი ახალი, თანამედროვე ნაკეთობანია.

მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნომიზმატიკის განყოფილებას გადასცა არტაშერ პირველის ვერცხლის მონეტა, ხოლო სახელმწიფო ერმიტაჟმა — კაკაესის ბრძოლების ამსახველი 14 ბრინჯაოს მედალი (ყარსის, ახალციხის, ერევნის, თავრიზის აღება, ბრძოლა ელიზავეტოპოლთან და სხვ.).

მუზეუმმა შეიძინა 24 ცალი ვერცხლის სასანური მონეტა, ხვასერული ტახსაკმელი ელემენტები, სვანური ჩაფხასტები, ქართული ოქრომჭედლები (ძაძამიძის, დარჩიას, ჯოდმაიას) ნახელავი სატეგრები, ვერცხლის ქამრები და სხვ.

მისასალმებელია, რომ ბევრმა მუზეუმს შემოწირა არაერთი საყურადღებო ექსპონატი. უ. ხჩიადაშვილმა (სოფელი ქორდი, გორის რაიონი) მუზეუმს გადასცა ვერცხლის ქამარი, ა. ხარტიშვილმა (სოფელი ვეჯინი, გურჯაანის რაიონი) — რუსეთდანის ვერცხლის მონეტა, თბილისელმა ჯ. კახიანმა — სოფელ კამარლოში (ფშანისის რაიონი) ნაპოვნი მე-11 საუკუნის ბიზანტიური სპილენძის მონეტა, მ. იორანელიძემ (სოფელ ოფიტარა, ცაგერის რაიონი) — წალკატი, თბილისელმა კ. ჩოლოყაშვილმა — მეჩასეკური ' მონეტები, ლ. კაპანაძემ — რომაული სამმპერატორო მონეტა, ზემოავჭალელმა გ. ვახტანგაშვილმა — რუსეთდანის მონეტა, გ. რუსიამ (სოფელი ილორი, სამტრედიის რაიონი) — ხელის წისქველი, კ. ბაქრაძემ (სოფელი უცხერი, ცაგერის რაიონი) — ჩიქოვანების საგვარეულო სამეჯლიანი, ლ. ხეცურიანმა (სოფელი სარიმე, ცაგერის რაიონი) — სახეფაშე ჭურჭელი — ყვიბარი და თიხის კვეთის ჭურჭელი (ეს ბრეინი ჭურჭელი პირველად შემოვიდა ფონდებში), აკადემიკოსმა ა. ზურაბაშვილმა — 150 წლის წინანდელი აბრეშუმის სამზითვო პერანგი, რომელიც ადგილობრივი აბრეშუმისაგან არის დამზადებული, თბილისელმა დინამოელმა ვ. დარასელიამ — ვერცხლის პატარა თასი (მიეტანენ ქ. დიუსელდორფში გამართულ ბოლოსათვის) თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა ეფიფანე ხელმძღვანელობამ — „ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასი“ (დრეზენი) და „დინამოელთა“ და „ევროპის ბურთი“, რომელიც ორკერ მოიხახელა „ყარ ცასის“ გუნდის კარი დიუსელდორფში, ვ. ანჯაფარიძემ, ზ. სოტკილავამ, ო. ჩხიკვაძემ, ნ. მუსხელიშვილის, ი. ვეკუას, ნ. ანთელავას ოჯახებმ: მუზეუმს გადასცეს მთელი რიგი დოკუმენტური მასალები.

წლის მანძილზე მუზეუმში სულ 13.353 სხვადასხვა ნივთი შემოვიდა.

დიდი შრომატევადი სამუშაო გასწია ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიამ. გაწმენდილი, რესტავრირებული და კონსერვირებული 2.080 ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, სპილენძის, მინის, პასტისა და სხვა მასალა ნივთები.

1981 წელს მუზეუმი ანუ, თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „საკვირველებათა სახლი“ სულ 300 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

ს. ნუცუბიძე.

სურათებზე. ზემოთ — **სპილენძის თუნგები და აჭარული კერძის „ბორეოს“ მოსამზადებელი ჭურჭელი, ქვემოთ — თიხის საზედაშე და კვეთის ჭურჭელი.**

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

შოვი ზამთრის კურორტიც არის

ბუნებას წელიწადის ყოველ დროს თავისი სილამაზე აქვს, ასევე მაღალი მთის ბალნეოლოგიურ კურორტ შოვშიც, რომელის მშვენებას ზაფხულში უამრავი ადამიანი მოუნახულავს. მაგრამ ადრე არავის მოსვლია აზრად, შოვის გარემემორბელი სილამაზე და სიცოცხლის ულეველ ელექტრონი ზამთარშიც ადამიანთა ჯანმრთელობის სამსახურში ჩაეყენებინა.

და აი, რესპუბლიკის ცეკავშირის საკურორტო სამმართველომ დასვა საკითხი, რომ შოვის ცეკავშირის დასასვენებელ სახლს ზამთის თვეებშიც მიეღო დამსვენებლები. ამ კეთილშობილურ წამოწყებას ახარი დაუჭერეს და ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომმა და სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა. თუმცა ამ დიდებულ კეთილშობილ ზოგმა ალმაცერადაც შეხედა — აბა ვინ იმაკი გაჩერდება თოვლის საუფლოში, სადაც ირგვლივ მხოლოდ ცას მიბჯენილი თოვლიან-ყინულიანი მთებია.

არა! ზაფხულის დღეებსაც კი არ შეუძლია ამდენი სიამოვნება მიანიჭოს ადამიანს, რა დიდებული ზამთარი იცის შოვმა. რა საოცარი გარემოა — მიდიხარ ფაფუკ თოვლში და თეთრ მდუმარებას მხოლოდ ჭანჭაროს წყლის ხმური არღვევს, სადღაც წყარო მორაკრაკებს.

და მაინც ვიღაც ღელავს:

— გზა რომ დაიკეტოს?

— არა, საშიში არაფერია, მით უმეტეს, რომ უხვად გვაქვს საკვები და სათბობი, — ღიმილით უპასუხებს შოვის ცეკავშირის დასასვენებელი სახლის დირექტორი ანზორ ქებაძე და გადაუღებელ თოვას აინუნშინაც არ აგდებს.

წლეულს ინვარში შოვის ცეკავშირის დასასვენებელ სახლში უკვე ოდაორმა ადამიანი დასასვენა, ხოლო სათხილამურო სპორტში წვრთნა გაიარა ონის რაიონის ორმოცდათამმა სპორტსმენმა.

ყველასთვის ცნობილია, რომ შოვში ზამთრობით უხვად მოდის თოვლი და ამასთანავე ბევრია მზიანი, ზათელი დღე. შოვის ერეკელი ვეღები, ფერდობები, ჭალბი თოვლი, სუფთა ჰაერი და ბუნებრივი ტრამპლინები შესანიშნავ პირობებს ქმნის სათხილამურო სპორტისათვის. ამას წინათ ონის რაიონის მეთხილამურეებმა აკი შეჯიბრებაც გამართეს შოვის მიდამოებში. ამ შეჯიბრებამ დიდადი მაყურებელი მიიზიდა რაიონის ყველა სოფლიდან. ასპარეზობა სილამაზისა და სიჯანსაღის ნამდვილ ზეიმად იქცა. ასპარეზობას დაესწრო შოვის თიმქმის ყველა დამსვენებელი, ბევრმა მთამაგანმა კი სურვილიც გამოთქვა მონაწილეობა მიეღო შეჯიბრებაში.

ასე რომ, შოვი ზამთრის კურორტადაც იქცაი, რას ეკითხულობთ შოვის ცეკავშირის დასასვენებელი სახლის თანაგეზიდილებათა წიგნში: „შოვი ზამთარშიც ზღაპრული სილამაზით ბრწყინავს. იგი სისუტაკითა და დაუშრეტელი ენერგიით მავსებს. შოვს დიდებული მომავალი აქვს“. აღნიშნულ შთაბეჭდილებათა წიგნში სხვაც ბევრი სასიამოვნო სტრიქონი.

პირველი „ფერცხლები“ რა ხანია მოფრინდნენ, ახლა მთავარია „ეთილმოვაწყოთ და ზამთრობით უფრო სიამეტი გვეხდოთ იგი დამსვენებელთათვის. ამისათვის კი უპირველესად საჭიროა გაუკეთებლეს გზა, მასზე მთელი ზამთრის მანძილზე ორმა თუ არა ერთმა ბულდოზერმა მაინც მუდმივად იმუშაოს, თოვლი გადახვეტოს და მაჩქანების მიმისელა არ შეაფერხოს. და კიდევ: შოვს ზამთარშიც უნდა ჰყავდეს ექიმი, მაღალკვალიფიციური ექიმი და რამდენიმე მედიკოსი და, საკითხია „გეგონ ონის კავშირგამეოლობის რაიონულმა კავშმა უკეთესად მოაგვაროს საპატიფოონო კავშირი კურორტთან, ამათვის დროული მიწოდება და სხვა.

თუ ყოველივე ეს მოგვარდა, შოვმა შესაძლოა სულ ახლებურად გაშალოს ფრთები.

დ. ხახიაშვილი.



ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲙᲣᲜᲘᲪᲘᲕᲘᲗᲘ, ოთხთა ტურნირის მეორე დღეს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი შეხვდა ტალინის „ყალევს“ და დამარცხდა ანგარიშით 66:83 (40:43). ადგილობრივმა „სოფმოდერნმა“ მოუგო მინსკის რტის — 79:78 (45:40). მკითხველებმა იციან, რომ ეს გუნდები უმაღლეს ლიგაში ბრძენისათვის იბრძვიან. ამ ტურნირის საწყისი ეტაპის ორივე მატჩი თბილისელებმა წაიგეს ცხადია, მეტად ძნელად გადასაწყვეტი პრობლემის წინაშე არიან. საჭიროა თბილისელები ძალების დამბავის ზღვრამდე თამაში.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲔᲑᲘ. ᲔᲠᲝᲠᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲘᲠᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲑᲘᲗ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲐᲛᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲙᲘᲠᲔᲗᲘ „ᲡᲢᲠᲝᲛᲝᲢᲝᲠᲣᲚᲘ“ — „ᲠᲝᲜᲘᲔᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲛᲔᲝᲗᲔᲯᲔᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ — 96:88. ᲙᲘᲕᲔᲚᲖᲔᲑᲘ ᲙᲘᲓᲔᲣᲚ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲘ: 10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲓᲘᲠᲓᲔᲗ „ᲠᲘᲐᲚᲝᲜᲗᲔᲑᲘ“. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲕᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲗᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲑᲘᲗ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲔᲑᲔᲚᲘ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ — 109:58.

ᲠᲘᲒᲐᲖᲔ გაიმართა ქალთა გუნდებს შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხეფინალური შეხვედრა. ადგილობრივმა ტტტ-მ მიიღო პრალის „სპარტა ჩკდ“ და დამარცხება იგი ანგარიშით 80:71.

ᲕᲐᲫᲗᲐ გუნდების საკაგშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა მოსკოვის დინამოელთმა მოუგეს ყაზანის „ყაზგორისს“ — 90:73.

ᲙᲐᲚᲗᲔᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

„ᲑᲝᲙᲐ ᲮᲣᲜᲘᲝᲠᲘᲡᲘᲡ“ ᲑᲣᲜᲔᲑᲘ

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡᲐ და სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო „გუნდი — ბუენოსაირესის „ბოკა ხუნიორსი“ ტურნეს მართავს იაპონიაში. ბუენოსის ეროვნულ ნაკრებთან პირველი მატჩი გაიმართა ტოკიოში და ფრედ (1:1) დამთავრდა. მეორე შეხვედრას, რომელიც კობეში გაიმართა, 10 ათასი მაყურებელი დაეწერო. სტადიონზე მისულა ბელგიელ ჟურნალისტთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — პირველი ტაიმის შემდეგ ტაბლოზე ენთო ციფრები: 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ. მაგრამ შუსვენების შემდეგ არგენტინელებმა თავიანთი ლიდერის, დიეგო მარადონას მეცადინეობით მდგომარეობა გამოასწორეს და სამი უპასუხო ბურთი გაიტანეს — 3:2 (ორი გოლი მარადონას ანგარიშზეა). იაპონიაში ჩასვლამდე „ბოკა ხუნიორსმა“ დაამარცხა სალვადორის ნაკრები — 2:0. ორივე გოლი მარადონამ გაიტანა.

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ

ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ უმაღლესი ლიგის 18 გუნდში თამაშობს 219 პროფესიონალი ფეხბურთელი. ადგილობრივი სპეციალისტები შემოთვლეს არიან იმის გამო, რომ აქედან 91 (თითქმის ნახევარი) უცხოელია. თანაც „ლეგიონერების“ რიცხვი არათუ კლებულობს, არამედ პირიქით — სისტემატურად მატულობს. სულ ახლახან უმაღლესი ლიგის კლუბმა „ლა განტეზამ“ კონტრაქტი დაუდო კიდევ ორ „ლეგიონერს“ — ახალგაზრდა ფინელ ფეხბურთელს უკონენს („კუოპიო პალოსეურადან“) და ლონანნას („სეპსიდან“). ამრიგად, ბელგიის პირველობის უმაღლეს ლიგაში უცხოელთა რიცხვი 93-მდე გაიზარდა.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲘᲒᲐᲠᲝᲜᲘ. ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲚᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲣᲙᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲭᲔᲓᲐ ᲛᲔᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ / ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲘ. ᲬᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲐᲛᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲙᲘᲠᲔᲗᲘ „ᲡᲢᲠᲝᲛᲝᲢᲝᲠᲣᲚᲘ“ — „ᲠᲝᲜᲘᲔᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲔᲡ ᲛᲔᲝᲗᲔᲯᲔᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲝᲛᲔᲠᲯᲔᲑᲣᲚᲘᲐ 80:71.

ᲕᲐᲫᲗᲐ გუნდების საკაგშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა მოსკოვის დინამოელთმა მოუგეს ყაზანის „ყაზგორისს“ — 90:73.

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ

ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ უმაღლესი ლიგის 18 გუნდში თამაშობს 219 პროფესიონალი ფეხბურთელი. ადგილობრივი სპეციალისტები შემოთვლეს არიან იმის გამო, რომ აქედან 91 (თითქმის ნახევარი) უცხოელია. თანაც „ლეგიონერების“ რიცხვი არათუ კლებულობს, არამედ პირიქით — სისტემატურად მატულობს. სულ ახლახან უმაღლესი ლიგის კლუბმა „ლა განტეზამ“ კონტრაქტი დაუდო კიდევ ორ „ლეგიონერს“ — ახალგაზრდა ფინელ ფეხბურთელს უკონენს („კუოპიო პალოსეურადან“) და ლონანნას („სეპსიდან“). ამრიგად, ბელგიის პირველობის უმაღლეს ლიგაში უცხოელთა რიცხვი 93-მდე გაიზარდა.

ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ №35 ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1982-83 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სასწავლებელი ამზადებს მეკრავეებს-მეპანქნაენებს (მამაკაცსა და ქალს) ზედა ტანსაცმლის კვლიფიციურ მეკრავებს).

მოსწავლეები სწავლის პერიოდში ეპინშეკავან ქამის, შარვლისა და პიჯაკის გამოჭრასა და შეკერვას.

სასწავლებელში მიიღებიან სამეალო განათლების მქონე 17-30 წლის ქალები. სწავლის პერიოდში მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია — 70 მანეთი, ფრაფიოსნებს კი 25 პროცენტით მეტი. გარდა ამისა, მოსწავლეებს მიეცემათ საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრეულები უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი სპეციალობის მიხედვით ქ. თბილისის სამკერვალო საწარმოებში.

სწავლობს ეიდა ერთი წელიწადია.

სწავლების დრო ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად.

სასწავლებლის კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ სწავლა განაგრძონ საღამოს ან დისტანციურ განყოფილების ნებისმიერ სპეციალობაზე წარმოებას მოუწყვიტლად სავალდებულო სტაჟის გარეშე, პროფილის მიხედვით კი ჩარიცხვა ხდება უკონკურსოდ.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომლებსაც ეჭვებთი წარჩინების დიპლომი, უფლებას სასწავლებელში შესვლის დროს საგგებლობენ ამ უპირატესობით, რომელიც დადგენილია ზოგადსაგანმანათლებელო საშუალო სკოლების ოქროს მედალოსან ან საშუალო სპეციალური სასწავლებლების წარჩინებით კურსდამთავრებულთათვის.

მსურველებმა განცხადებანი უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი სამუშაოები: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); 6 ცალი ფოტოსურათი (3X4); სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მოწერის მოწმობა (დედანი), (ნონა საცხოვრებელი ადგილიდან; ჯანმრთელობის ცნობა ფორმა № 286; ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3X4); დახასიათება; ფოტოგრაფია.

სწავლა დაიწყება 15 თებერვალს.

საბუთები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 9-დან 17 საათამდე, **დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ** მიმღებ კომისიას.

სასწავლებლის მისამართი: ოქტომბრის რაიონი, ,ალილინის ქუჩა № 60, ტელ: 95-62-38, 95-26-66, ტრამვაი 5, ტროლეიბუსი 1, 14.

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ №60 ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1982 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

ავტომაწის მემანქანე; ზეინკალ ავტოშემკეთებელი; განათების და ელექტრო ჯხელის მემონტაჟე (ტელესტუდიისათვის).

სპეციალისტების მომზადება გათვალისწინებულია რადიოელექტროტექნიკური მრეწველობისა და „სამმთავარსაცმონტაჟშეწის“ ობიექტებისათვის. სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე.

სასწავლებელში მიიღებიან 17-30 წლის ასაკის გოგონები და ვაჟები, რომელთაც პროფესიების მიხედვით მიეცემათ სტიპენდია — 30-70 მანეთი და საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხა დადგენილი წესით, წარჩინებულთა კი 25 პროცენტით გადიდებული სტიპენდია.

სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობით სარგებლობენ საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი, კომკავშირელნი და სახაბო ორგანიზაციებიდან საგზურით გამოგზავნილი ახალგაზრდები.

სწავლის ხანგრძლივობა 10 თვეა. სწავლის პერიოდში წყვეტდეულებს ეძლევათ საბჭოთა არმიის რიგებიდან გაწვევის გადადება. სწავლის პერიოდი ითვლება შრომის უწყვეტ სტაჟად. სასწავლებლის კურსდამთავრებულნი უმაღლესი სასწავლებლის საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე ჩაირიცხებიან უკონკურსოდ, ხოლო ის მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს წარჩინებით დაამთავრებენ, ჩარიცხვისას სარგებლობენ საშუალო სკოლის ოქროს მედალოსნებისთვის დადგენილი უპირატესობით. სასწავლებლის პედსაბჭოს უფლება აქვს შესაბამის სპეციალობებზე უფლებისა სასწავლებლის დღის განყოფილებებზე სწავლისათვის რეკომენდაცია მისცეს კურსდამთავრებულებს (10 პროცენტის ფარგლებში), რომელთაც ყველა საგანში იქნებიან შეფასება „ფრიადი“, „კარგი“ და წარჩინებით ჩაბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდას. ამასთან მოწონებული იქნებიან სასწავლებლის საბჭოგადოებრივ საქმიანობაში.

სასწავლებელში ჩარიცხვა მოხდება საკონკურსო შერჩევით.

განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე და დაერთოთ შემდეგი სამუშაოები: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); 6 ცალი ფოტოსურათი (3X4); სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მოწერის მოწმობა უნდა წარმოადგინოთ პირადად.

განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, 9 საათიდან 17 საათამდე.

სწავლა დაიწყება პირველ მარტს.

სასწავლებლის მისამართია: მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, მეტროს სადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორია.

ტელეფონი: 34-72-59, 34-71-29, 34-79-48.

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲠᲝ

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ მუშებს ორგანიზებული შეგროვების წესით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №1 ტრესტში (ქ. რუსთავი, გაგარინის ქ. №21).

სამუშაოზე მიღებული მუშები უზრუნველყოფილი იქნებიან კეთილმოწყობილი საცხოვრებლით. მუშებს, რომლებიც გაგზავნებიან სამუშაოდ ადგილზე, **ეძლევა** ფასდაკლებული ბილეთები ადგილობრივ ავტობუსებზე, ადგილობრივ ელექტროსარკინიგზაზე, ეროვნულ საავტომობილო გზებზე, ეროვნულ საავიაციო ხაზებზე, ეროვნულ საზღვაო ხაზებზე.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲘᲤᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲡᲐᲒᲝᲠᲘᲡᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ქალაქებისა და რაიონების შრომითი მოწყობის ბიუროებს და შრომის კომიტეტის რწმუნებულებს.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

5 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამაზე: 09.00— „ვრემია“ (მ.), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მურმანსკი“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის“ — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — დოკუმენტური ფილმი „ცხელი ქვის ქალაქი“, 11.00 — გადაცემა „წლის საუკეთესო სპექტაკლები და როლები“, 12.00 — დოკუმენტური ფილმი „გზის პორტრეტები“, 13.00 — სტუდენტებისათვის — უმაღლესი მათემატიკა, 13.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „რევოლუციით შობილი“. მეოთხე სერია, 17.00 — მოსწავლეთათვის — მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლი „წითელქუდა“, 18.30 — „თქვენთვის, პატარებო!“ — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.50 — „მეცნიერება სახალხო მეურნეობას“, 19.25 — „საბჭოური ცხოვრების წესი“ — გადაცემა „მეზობლები“ (ანმეორებთან), 19.45 „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „რევოლუციით შობილი“. მეხუთე სერია, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ჩვენი საგვარელი კინოკომედია“ (განმეორებით), 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამაზე: 17.05 — მოსწავლეთათვის—ფიზიკა, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.55 — მასწავლებლის საათი — გეომეტრია, 18.40 — მხატვრული ფილმი „შეშმარიტების სზლეაური“, 20.05—განცხადებები.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

5 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბაიადერა (მე-20 აბონ. მე-5 წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდობო დასკვნა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეაკ ამბა; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — (ძმდებნი შინაკატიურების სახელმწიფო — არ შეგინოგდეს; მეტეხის თეატრი — შეეიკეთ; კინოსსახლოთა თეატრი — ვეფხვი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, 14.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲪᲘᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲪᲘᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲪᲘᲐᲗᲐ ᲒᲐ